

### ეკონომიკა

გაზაფხული — ტექნიკა ზადღაღ ხმანწყეკე  
 გო თავმჯდომარევ, მარტო რად მხედებით?  
 თავმჯდომარე — ტექნიკა... ცოტათი  
 ჩამომრჩა... რემონტმა შეაგვიანა.



# ბუნება







# განათლებლი ნიანგო

ქვირფასო ნიანგო!

პატარა შვილიშვილი მყავს, გოგონა. მასაც, როგორც ყველა პატარა გოგონას, ახირებული სურვილი დაებადა: მოგეთხოვა სათამაშო «დედოფალა», რომლებსაც ბლომად უშვებს ადგ. მრეწვეთვალსაჩინო სახელმძღვანელოების ფაბრიკა და «თვალსაჩინო ფასებში» ყიდის საჩუქრების მაღაზიაში.

ვიყიდეთ და 215 მანეთი გადავიხადეთ. ქალაქში შეხვეული იყო, გავხსენით—ბრმა აღმოჩნდა, დავაბრუნეთ და გამოგვიცვალეს, მეორეს—შიდაბეჭანიში მოშლილი აღმოჩნდა, კიდევ გამოგვიცვალეს და გაგვაფრთხილეს:

— ასეთი სათამაშო ბავშვს არ უნდა ჩაუგდოთ ხელში.

მოგვივიდა შეცდომა და მაინც «ჩაუგდეთ ხელში». ხელის ხლება და—დედოფალას კისერი მოსტერა, თავი გადაეხო. მიემართეთ მის დამამზადებელ ფაბრიკას. დირექტორმა არეშიძემ გაგვახარა თავისი მოსწრებული პასუხით:

— დაწერეთ განცხადება, მივიღებთ, მაგრამ შეკეთება 100 მანეთი ელირება.

სანამ განცხადებას დაწერდეთ, გვინდა შეგეკითხოთ, ძვირფასო ნიანგო: წუნის აღმოჩენისათვის 100 მანეთის მიცემა უფრო მართებული იქნება, თუ წუნის მკეთებლის პასუხისგებაში მიცემა?

დაწარადებული

## ამხანაგო ნიანგო!

გაგიგონია, რომ კაცი კანონს არ სცნობდეს და ამ «არცნობას» კანონით ასაბუთებდეს? არის ასეთი საინტერესო არმცნობი. იგი რკ. გზ. № 1 საბუღალსო სასწავლებლის დირექტორი დომენია გახლავთ.

ინებე საბუთი: საქმიანი კრიტიკისათვის, «თავიდან მოშორების» მიზნით. უსაუფლოდ მოხსნილმა სასწავლებლის ოსტატმა გიორგი გუდაძემ 11 თვეს უმუშევრად იარა. სასამართლოს ყველა ინსტანციაში იგი უდანაშაულოდ სცნეს და სამუშაოზე აღადგინეს. სამაგიეროდ დომენიამ არ სცნო

— სადა ხარ, შვილო, ამდენ ხანს?

— შაბათობაზე...

— მერე, დღეს ხომ პარასკევია?!

— არა, მასწავლებელს ჰქონდა შაბათობა, შემას გვაზინებდა თავის

სახლში.

ნახ. ნ. მაღაზონიასი



ახალციხის ქვანახშირის მაღაროებში მექანიზმების მოვლას ყურადღება არ ექცევა: ნანგრევებში დამარხულია მრავალი საჭირო ხელსაწყო და დეტალი.

ნახ. ი. მახინაძე

ნიანგო  
ნიანგო



— ამ რაიონში გულდასმით უნდა ჩატარდეს გეოლოგიური ძიება.

— ქვანახშირის ახალი ფენის აღმოჩენად?

— არა, ძვირფასი ხელსაწყოების საპოვნელად!

## ქვირფასო ნიანგო!

მართალია, კიროვის რაიონის ცენტრალური შემნახველი საღაროს თანამშრომლები ვართ, მაგრამ ამ ამბავს საიდუმლოდ მაინც ვერ შევიხანავთ. ჩვენს ზემო სართულიდან, სადაც რაიონისაკომისა მოთავსებული, ზამთარ-ზაფხულ წყალი ჩამოდის და ასე ვიღებთ ქუქყიანი წყლის არცთუ ისე სასიამოვნო შხაპს. ჩვენი აღფრთობა დღემდე უპასუხოდ რჩება. აბანოს მუშაკებისაგან ხომ არ ისწავლეს რაიონისაკომის თანამშრომლებმა შეწუხებული ადამიანებისადმი გულგებობა და უყურადღებობა? შენ მაინც მოგვხედ, ძვირფასო ნიანგო, და აგვაცდინე უსიამოვნო აბანახები.

შეწუხებული

## ამხანაგო ნიანგო!

ალბათ ერთხელ მაინც მოგიხდებოდა ცეკავშირის მუშაკთა თბილისის საქალაქო კლუბში შემოსვლა და წასიამოვნებელი გამოხვიდოდით იქიდან. კარგა ხანია იქ არც რადიოს ხმა ისმის, არც სამეფლისო ცეკვების მუსიკა... შიგ ობობებმა დახლართეს ქსელები და დამურების გუნდი მართავს ხოლმე თვით-მოქმედების კონცერტებს. თუ კლუბის კარებს მიადგები, უკანვე გაბრუნდი. სულ ერთია, სამივე კარს სამი ბოქლომი ადევს. დიდი სიფრთხილე გმართებს, რომ გარაქვებ გავლით უკანა ეზოს კიბიდან პატარა კარს მიიღწიო და ამრიგად კლუბში შეხვიდე. იკითხავ, რა მოხდა? ის მოხდა, რომ კლუბს ხან ცეკავშირის ადგილკომი ეპატრონება, ხან პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი. და ხომ გაგიგონია, ორ ძიძას შუა ბავშვი შიმშილით მოკვდაო. საკითხავია ვისი კაპრიზების გამო კლუბი დაკეტელი და სადაა ამ ამბის საიდუმლო გასაღები?

პ. ლონაძე

## პატივცემულ ნიანგო!

დიდი სიხარულით გადავედი ახალ ბინაში (კომინტერნის ქ. № 5), მაგრამ პირველ დღიდანვე შენი საგანგებო მოწვევა მიხდებოდა. ეტყობა, ამ საცხოვრებელი სახლის მშენებლებს მცხოვრებლების გამოცდა განუზრახავთ, თუ როგორ გაუძლებენ ისინი საშარეულოს საკვამურიდან გამოსულ კვამლს, სიცივეს, უგზობას და უწყლობას. რომ წამოხვალ ჩემი ოთახის დასათვალიერებლად, ეცადე ტალახში არ ჩაეფლო, თან ცხვირსახოცი წამოიღე კვამლისაგან აცრემლებული თვალების ამოსაწმენდად. გთხოვ ამ სახლის მშენებლები ინახულო და შენებური რიგიანი მადლობა უთხრა მცხოვრებლებისათვის მოთმინებასა და ამტნობაში ასეთი გამოცდის მოწყობისათვის.

პ. ბერიძე





ის იყო დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ კითხვა დავამთავრე ღამის პირველ საათზე, რომ კარზე ვილაყამ დააკაკუნა.

წაკითხულის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი შევიკრთი და გავი-  
ლურსე.

კაკუნნი ისევ განმეორდა, ამჯერად უფრო ძლიერად და ვილა-  
ცის მგრგვინავემა ხმამ მიბრძანა, კარი გამეღო.

აღბათ, შიშისაგან გავთავადებოდი, ხმაზე ჩემი ძველი მეგობა-  
რი რომ არ მეცნო.

გავიღე კარი და ვეება ჩანგლიანი და ნაბადმოსხმული ნიანგი შემოვუშვი ოთახში. მისალმება ძლივს მოვასწარი, რომ მოსულმა ილდიდან შავი მოსასხამი გამოიღო, გაშალა, მხრებზე მომახურა და მაცნობა:

— ამ მოსასხამს მხოლოდ ის წამოისხამს, ვინც სააკაოს სტო-  
ვებს, ნუ შეგეშინდება, მეგობარო, მე ვალად მდევს წელიწადში ერთხელ დავეხედო საიქიონს და ჩემს მკითხველებს ვუამბო უმზეო ქვეყნის მცხოვრებლებზე. მინდა თანამგზავრად მყავდე ამ საშიშ მოგზაურობაში და დაწვრილებით აღნუსხო ნახული.

ესა თქვა, გადამაფარა ნაბდის კალთა და ვიგრძენი როგორ მოვწყდი მიწას შხულით.

დიდხანს მიბეუღდა ყურები, დიდხანს შხუღდა ქარი ჩენს ირგვლივ... და რამდენიმე საათის შეუწყვეტელი ქროლოვის შემდეგ საიქიონს ზღრულბთან აღმოჩნდი.

— ქვესკენელის მდინარე გამოვლილი გვაქვს, ახლა დაიწყება ჯოჯოხეთი.

ამის თქმა ძლივს მოასწრო ნიანგმა, რომ გავახილე თვალი და ჩემს წინ გადაიშალა თვალუწყვდენი და ხრიოკი უდაბნო. რომელსაც ერთ მხარეს გაუფალი ბარდები ერტყა.

უეცრად ბარდებიდან გარეული ტახი გამოხტა და წინ გადა-  
გვირბინა: შეგერთი, მაგრამ გზა მაინც არ გავიმრუდეთ. ნადირი შორს არ წასულა, იქვე გაინაბა და უკან მოიხედა. უცებ ვილაყ კაცი გამოვარდა ბარდიდან და მშვილდზე დადებული მრუდე ისა-  
რი დაუმიზნა ტახს. ნასროლი ასცდა მსხვერპლს და ისარმა გვერდ-  
ზე გაიზუზუნა. წამოხტა გულგახეთქილი ნადირი და თავპირის-  
მტკრევით მოუსვა. ისევ დაადო მრუდე ისარი მშვილდს მონადირემ და უკან დაედევნა გაქცეულს.

— ეს საჩხერელი მოსამართლე ი. ანაკიძეა, — ამისხნა ნიანგმა. — მრუდე სამართალი ჰქონდა, სოფელ საირიხის მკვიდრ, კოლმეურნე ვ. სადუნშიელის დაკარგული ღორის საქმე იმქვეყნად სწორად ვერ განსაჯა და აქ ახლა ასე აქვს მისჯილი — მრუდე ისრით გაქ-  
ცეული ღორის მოკვლა.

— ის, ის ვინაა? — შევეკითხე მე და ქვიშიან მინდორზე მობ-  
ბენალ კაცზე ვანიშნე. საოცარი სისწრაფით დარბოდა ეს კაცი. მიიბრუნდა კლდის ძირას, იქ დადებულ ხმელ პურს ძლივს წა-  
ტეხდა ერთ ლუკმას, მერე იქიდან გულზეთქებით გამოქცეული ერთი ხმელი იფნის ქვეშ ნაგდებ ყველს მოკებდა და შემდეგ შორს, ქვიშის ბორცვზე დადებული ლიტრიდან წყალს მოიყუდებდა. მოი-  
ყუდებდა ოფლში გახვითქული, მაგრამ ერთი ყლუბის გადაშვებას ძლივს მოასწრებდა სიტხისაგან გამომშრალ ყელში, რომ ისევ უკან გამობრბოდა კლდის ძირას პურის მოსატეხად. შემდეგ იქიდან ისევ ყველთან ვარბოდა და ასე დაუსრულებლად, ისევ თავიდან იწყებ-  
და სირბილს.

— ეგ დოცენტი იგრიკიძეა, შეთავსებით მუშაობდა თავის სიცოცხლეში. საქმიდან საქმეზე დარბოდა და ვერც ერთს ვერ აკეთებდა ხეირიანად.

ჩემი ყურადღება ახლა, მარჯვნივ, ასეთმა ამბავმა მიიქცია. უდაბნოში ვილაყ დამდგარიყო და უამრავ კვერცხებისგან კოშკის აშენებას ცდილობდა. ააშენებდა, აიყვანდა თავამდე და ის იყო უკანასკნელ კვერცხს დაადებდა ზევიდან, რომ მოზავადებოდა ეს კოშკი და ისევ დაეშლებოდა. ისევ თავიდან დაიწყებდა შენებას.

— ეგ დამზადების აგენტია, — მაცნობა წამოწყულმა ნიანგმა, — სიცოცხლეში არ იყო პატიოსანი და ახლა აქ მისჯილი აქვს ასე იტანჯოს. სხვათა შორის, აქვე უპირებენ მოყვანას თელავის საინ-  
კუბაციო სადგურისყოფილ გამგესა და მის თანამშრომლებს, რომელთაც 20.000 კვერცხი შეჭამეს, რადგან ისინი „გალაყებულნი“ იყო და წიწილების გამოსაჩეკად არ ვარგოდა.

სახე მოვარიდე წამებულს და უცებ თვალდაჭყეტილმა შეე-  
ყვირე:

— პრომეთე!

მაღელ კლდეზე მიჯაჭვულ კაცს გულ-მუცელს უწიწნიდა არწივი.

— ეგ პრომეთე კი არა, მექათამობის ფერმის გამგეა და ის ფრინველიც არწივი კი არა, მამალია. თავზიანად ამისხნა ნიანგ-  
მა, — ეგ მოშენების მაგიერ მუსრავდა ქათმებს და ხშირად რაიონი-  
დან „დასათვალისწინებლად“ მოსულ მუშაკებს საჩუქრადაც ატანდა.

გავცდი ამ ცოდვის საკირესაც და ერთ გორას მივადექით, რომელზედაც ვილაყს ვეება ლოდი აჰქონდა. აიტანდა კაცი ლოდს გორის წვერზე და ის იყო დასადებლად მოგზაადებოდა, რომ დაუ-  
გორდებოდა ლოდი და ისევ გორის ძირას ჩამოდიოდა. მივიღოდა ის კაცი, ისევ აიკიდებდა იმ ლოდს და, ოფლში გახვითქული, ტვირთის სიმძიმისაგან ოთხად მოკაკული, ისევ შეუღებოდა გო-  
რაკის ფერდობს.

— ვანა ეს სიზიფე არ არის? — მიემართე თანამგზავრს და მე-  
ტად გავოცდი, როცა უარი მივიღე.

— ეგ სიზიფე კი არა, ერთი მშენებლობის უფროსია, რომელიც მშენებლობას აქიანურებდა, სახელმწიფო მასალა სახლში მიჰქონდა ჩუმად და თავისთვის უფრო ადრე აიშენა ბინა, ვიდრე მისდამი რწმუნებულ მშენებლობას მოათავებდა... მაგრამ, დაიცა, აქეთ გამოიწი და ამ ლოდს ამოეფარე, თორემ იმ კაცმა თუ თვა-  
ლი მოგვკრა, აღარც მოგვეშვება.

მე ქვას ამოვეფარე და თანამგზავრის გაშვერილი თითის მი-  
მართულებით გავიხედე, მაგრამ ვერავითარი კაცი ვერ დავინახე. მხოლოდ რალაც მთასავით მოძრაობდა და ჩვენსკენ მოიწევდა.

— ეს რა არის? — შევცბი მე.

— ცოტაც მოიცადე და გაიგებ.

ცოტა ხნის შემდეგ მთა მოგვიახლოვდა და ჩემდა გასაოცრად დავინახე ამ მთის ქვეშ ოთხად მოკაკული კაცი, რომელსაც ცხვი-  
რი მიწისთვის დაეხვინა და სახეზე ჩამომდინარე ოფლით ქვი-  
შასა რწყავდა. ზურგზე შეკრული წიგნები ეკიდა მეკურტნესავით. კითხვის თვალი მივაპყარ ნიანგს და თანამგზავრამაც განმი-  
მარტა:

— ეგ კაცი მწერალია. შენც იცი, ქვეყანაზე უნიქოდ დაწე-  
რილ წიგნზე საზიზღარი არაფერია. ჰოდა, მაგის წიგნებსაც არა-  
ვინ ყიდულობდა, საწყობებში ლპებოდა და მაღაზიებში გორებად ეწყო, მაგრამ წერისთვის მაინც თავი არ დაუწებებია. ახლა აქ მისჯილი აქვს მთელი თავისი წიგნების ზურგით ტარება და ისე გასალეხა. ხედავ? — ეშმაკებიც კი გაურბიან... დაიცა, ეს რა ხმა ისმის? აბა, ყური დაუფდე კენესა-გმინვას, არ გეცნობა? ეი, ძმობი-  
ლო! — დაუძახა ერთ გრძელჩანგლიან საშინელ არსებას ნიანგმა, — მაგ ჯურღმულში ვინ ეწამებიან?

ტარტაროში მოგვიახლოვდა და პირქუშად განმარტა:

— აი, ისინი, ჰაერში რომ ჰკიდიან და ქვევიდან ცეცხლი აქვთ შენთებული, გამომცემლობის ცუდი დირექტორები არიან. ცეცხლი კი მათგან ძმაკაცურად გამოცემულ უნიჭო წიგნებს უკი-  
დია და დირექტორებიც იმათ ალში იხრუკებიან... მაგათ იქით ცრუმეცნიერები არიან, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი ნათესა-  
ვების დახმარებითა და პურ-მარილით მიუღიათ. ხედავთ, — გრძელი კალმებით სჩხვლეტენ და ტანიდან სისხლის მაგიერ ნელანი გა-  
მოსდიოთ.


— მაგათ გვერდზე ახალ ჯურღმულს ვილასთვის ამზადებთ?

— მაღე ორი ახალი კლინტი უნდა მივიღოთ. ერთმა „ყა-  
ყიტას ქურდზე“ დაიცვა დისერტაცია, ხოლო მეორემ — ვაჟა-ფშავე-  
ლას „ჩხიკვა ქორწილზე“.


აქ ტარტაროში შედგა, ცეცხლიანი თვლებით დამაქტერდა, ერთი საზარლად გადაიხარხარა, საშინელი ლოჯები გადმოყარა და ალტაცებით დაიქუხა:

— ბიჭოს! ეს ის კაცი არ არის, რომელმაც ერთხელ მამხი-  
ლებელი წერილი დაწერა ვილაყზე? მართალია, ფაქტები დადა-  
სტურდა, მაგრამ წერილი ხომ მას შემდეგ დაწერა, რაც იმ კაცმა ამას პირადად აწყენინა? აჰააა! რა ადრე მოფრინდი ხოხობო!!! —  
ესა თქვა და ცხელი და სამკაბა ჩანგალი ისე მატაკა ფერდში, რომ სიმწრისაგან დავიღრიალე და მოწყვეტილ დავასკდი მიწას...

თვალი გავახილე, ჩემს ოთახში ვიყავი. არც ნიანგი ჩანდა სადმე, არც ტარტაროში. მაგიდაზე დანტეს „ღვთაებრივი კომე-  
დია“ იღო გადაშლილი, ხოლო ფანჯრიდან მზის აღმაცერი სხივი ეცემოდა ზედ.







ერთმა ახალგაზრდა იურისტმა გავლენიანი პირის დახმარებით მეტად დახლართული გზა აირჩია და სამრეწველო საქონლის ერთ-ერთ მაღაზიაში დროქაობას მიაღწია. სამი თვის მუშაობის შემდეგ მან სამოცი ათასი მანეთი მიითვისა ძვირფასი საქონლის გადაფასება-გადასპეკულანტებაში და წასვლასა და მიმალვას აპირებდა, მაგრამ დახლართული გზით უკან დაბრუნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

მართლაცდა, კიდევაც რომ მიეღწია მარცხენა კარამდე (დახედეთ ნახატს), წინ მილიცია დახვდებოდა, მარჯვენა კარისთვის რომ მიეგნო, აქ რევოლვრული თებოდა ცხვირწინ.

რა ექნა? როგორ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან? იქნებ თქვენ დაეხმაროთ, მკითხველ?

**გამოცანა**

ერთი კინოთეატრის მოლარე ისე ხშირად ყიდდა ერთ სკამზე ორ ბილეთს, და ამავე კინოთეატრის კონტროლიორიც, ბოლოს და ბოლოს, ისე დაოსტატდა, რომ ოთხ სკამზე ხუთ მაყურებელს დასვა მდა და თვითეული მათგანი მაინც თითო სკამზე იჯდა. როგორ ახერხებდა ამას?

**ამოცანა**

საბჭოს ქუჩაზე ტაქსმა 30 მანეთი დასწერა. თუ კილომეტრის გავლა 1 მან. და 50 კაბ. ღირს, რამდენი კილომეტრი გაუვლია ტაქსს?  
(პასუხები იხ. მე-7 გვერდზე)

## შვიდობია ჯავშორებაში დასამშრომლებო!

«მე შევწირე თავი და მსხვერპლი ჩემი მდინარე მტკვარმა წაიღო, ჩემი ტანისამოსი, საბუთები დაწყობილია დიდუბის ბორანის მარცხენა მხარეზე ბორანიდან მეტრო ასის დაშორებით ბუჩქის ძირში. სახლიდან გამოვედი დღის ოთხ საათზე, წერილი დაეწერე და ტანისამოსის მპოვნელს ვთხოვ, რომ მოიტანოს ადგილზე და უთხრას ჩემი მდგომარეობა აქ ნაჩვენები მისამართით, წელზე მაქვს შემოჭერილი მაგარი მავთული. იქნებ მოგნელი მიხედეს ამით, რომ ის მე ვარ— დედარიანი. თავი დავიხრჩე ორშაბათს, ღამის 12 საათზე, 1945 წ.»

აი ასეთი სამწუხარო წერილი იპოვნეს ამ ათი წლის წინ კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომლებმა, იპოვნეს და შეიცხადეს, იგლოვეს და ცრემლი ღვარეს, ათი ათასი საყვედური გაუზავანეს საიქიოს თავიანთ თანამშრომელს ასეთი უგუნური საქციელისათვის.

— აი შეგარცხვინე, დათიკო, ბიჭო, თავის დახრჩობა რა ვაქკაცის საკადრისია! მერე ისიც მტკვარში, ამ ტუჭყიან მდინარეში! თუ სიკვდილი გინდოდა ბარემ ღვინოში დაგეხრჩო თავი, არა სჯობდა? გზა საიქიოსაკენ ხომ მაინც ერთია!

— აი... აი... აი... არ გამოგვჭრა ყელი ამ უსირცხვილომ! შოდი ახლა და ეძებე ამ ეშმაკის კუდივით დაგრეხილ მდინარეში, რომელ ქუადამთხვეულს ექნება წელზე მავთული შემოჭერილი.

— მშვიდობით, დაუეციყარო დავით! ვერ დაგივიწყებ, რადგან ჩვენი «ორსის» საწყობიდან შენ, როგორც საწყობის გამგეს, 9,000 მანეთი გქონდა გაფლანგული. იმისმა ჯავრმა არც შენ უნდა მოგასვენოს იმ გრძელ ქვეყანაში და მეც ხომ ყოველ რევიზიის დროს ამეშლება ჯავრი და ნადველი,

— გემშვიდობებით, ძვირფასო დავით. ღმერთმა შევიდოს!.. ერთი სიტყვიტ, კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომლებმა დავიწყებას მისცეს თავიანთი ყოფილი საწყობის გამგე, ხოლო საბალანსო ანგარიშში გაფლანგულ 9,000 მანეთს სამგლოვიარო ასოებით მიაწერეს—«თავი დაიხრჩო». ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა

დავით დედარიანი განსვენებულთა სიაში, რომ ამ ცოტა ხნის წინ კავშირგაბმულობის სამინისტროს ბუღალტერიის თანამშრომელს ხულოში თვალი არ შეესწრო დავითისათვის. ეს კაცი ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ ათი წლის მიცვალებულის დანახვაზე გაუფიქრდა და პირჯვარი გადაიწერა.

- განვედ, მაცდურო, შეჩვენებულ სულო, ჩემგან...
- რას მერჩი, შე მართლა შეჩვენებულს, 10 წელია არ გინახივარ და ახლა ასეთი გინებით მიმასპინძლები?!
- მაშ მართლა დავით დედარიანი ხარ? აკი მტკვარში დაიხრჩე თავი, ხულოში როგორდა მოხვდი?
- აღვსდექ, ჩემო მელენტი, ვითარცა ქრისტი! რა გიკვირს, შე კაცო, აღდგომა მაშინ იყო ძნელი, როცა ტექნიკა არ იყო განვითარებული, თორემ რა გასაკვირია, რომ ატომის საუკუნეში კაცმა იმ გრძელი ქვეყნიდან ამ პატარა წუთისოფელში ამოყოს თავი. ისე კი ძალიან უჯიგრო ხალხი ყოფილხართ, ძმაო მელენტი. ჩემი დახრჩობის შემდეგ თითქმის ყველა გაზეთს ვკითხულობდი და მწყინდა: ერთი განცხადება როგორ ვერ გაიმეტეთ, რომ განსვენებულს გული ამჩუყებოდა და თქვენი თანამშრომლებისათვის ერთი-ორი სიმღერა მაინც შემეწია.
- სიმღერა კი არა, ჩემო დავით, შენს მიერ დამღერებულ 9,000 მანეთს რომ გლოვის ღიღინი აქვს ატეხილი, იმაზე რას ფიქრობ? უპ... მაგის გულისთვის დავიხრჩე თავი, თბილისიდანაც გამოვიქციე და მაინც არ ჩამოწერეთ? ფუპ... თქვენი გულისთვის როგორ უნდა გაიმეტოს კაცმა თავი. არ ღირდა, არა. წესიერი ხალხი მეგონეთ. მაგრამ შევცდი!
- ვინ იცის თბილისში როდისდა აღსდგება საყვარელი დავითი, ვითარცა ქრისტი. 9,000 მანეთი ჯერაც უმოძრაოდ აწევს სამინისტროს.



ჩვენს დედაქალაქში დიდი ხანია მოღვაწეობს ორიგინალური ქანრის არტისტ-ილუზიონისტთა მრავალი კოლექტივი. ფრიად საინტერესოა და მაყურებელთა გულწრფელ აღტაცებას იწვევს საბურთალოს სპეკულანტთა გამოსვლები. ილუზიონისტთა ეს ჯგუფი ძირითადად ჰიპნოზზე და შთაგონებაზე მუშაობს. ფოკუსი ტარდება ღია ცის ქვეშ, მაყურებელთა უშუალო მონაწილეობით. ნომერი იწყება შემდეგნაირად: თქვენ უახლოვდებით სპეკულანტს და ეკითხებით:

— საპალტოე არა გაქვს?  
— ვა, მა ეგ რა არი?! გეუბნებათ სპეკულანტი და გაწვდით საკაბებს.  
— ეგ საღურთი საპალტოეა?!—ყვირით თქვენ, და სწორედ აქ იწყება შთაგონება.

— საპალტოეა... საპალტოეა... ჩემმა მზემ, საპალტოეა... ჰა, ხეირი ნახე, მუქთად მივაქვს, იცოდე ზარალში ვეარდები, მაგრამ შენზე ჰალალია. ჰა წაილე, გეუბნები საპალტოეა...

ჰიპნოზისა და შთაგონების ძალით თქვენ ხელს იყოფთ ჯიბეში, იღებთ ფულს და ფოკუსი გაკეთებულია. ამ ფოკუსს ერთი უარყოფითი მხარე აქვს—მასში უშუალო მონაწილეობის შემდეგ მაყურებელი ძალიან ცუდ გუნებაზე დგება, ოჯახის წევრები ამრეზით უტყვიან და სულელს ეძახიან.

— : —

არ არის ინტერესმოკლებული მოლარეთა მიერ ნაჩვენები ნომრებიც, ეს ფოკუსები თითქმის არაფრით განსხვავდებიან კონლუტორების, ნოქრებისა და სხვათა ფოკუსებისაგან, მაგრამ საინვარტა და წინადადებათა წიგნებში ჩაწერილ შთაბეჭდილებებით აღტაცებული მრავალათასიანი მაყურებელი მაინც დიდ შეფასებას აძლევს ამ ნომრებს. ფოკუსი ძირითადად ხურდა ფულზე კეთდება. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელი წინასწარ გაფრთხილებულია—„დაითვალეთ ხურდა სალაროსგან მოუშორებლად“, როგორც კი მოსცილდება. იგი სალაროს, ხურდა ფულის გარკვეული ნაწილი დაუყოვნებლივ ქრება. ამაშია ამ ნომრის მთელი მარტივი. არის ფოკუსის ქალაქის ფულზე ჩატარების ცდებიც, მაგრამ ეს ფოკუსი ჯერ ვერ არის ისე სრულყოფილი.

— : —

მიუხედავად ნომრების სიძველისა და რეპერტუარის ერთფეროვნებისა, მაინც დიდ განცვიფრებას იწვევს თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ფოკუსები. ილუზიონისტთა ამ ჯგუფს თავისუფლად შეუძლია დროსა და სივრცეში, ერთსა და იმავე პირობებში, ერთ დღეს გადაუხადოს ორმოციც, ქორწილიც, დაბადების დღეც, შესძინოს ექვსი ვაჟი, და, რაც მთავარია, მამაკაცი აქციოს ქალად, ან პირიქით. ანალოგიური ფოკუსი კეთდება დეპუტა „ელვათიც“, მაგრამ ეს ნომერი უზომოდ გაჭინურებულია. მაღლივი მაყურებლის სახელით ჩვენ რამდენიმეჯერ ვთხოვეთ ილუზიონისტებს, ცოტათი შეეწელებინათ ფოკუსების სიმძაფრე, რადგან ზოგიერთი მათგანი იმდენად მძიმეა, რომ მაყურებელში ხშირად იწვევს: კივილს, შეცხადებას, ისტერიულ ხარხარს, გულის შეღონებას, ჰიპერტონიას და პესიმოზსაც კი.

— : —

კიდევ არის ილუზიონისტთა ერთი ჯგუფი. ამ ილუზიონისტებს „ხულოგნებს“ ეძახიან. მათ შეუძლიათ წელიწადის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მოქალაქეს ცხვირიდან ძმარი აღინონ, მაგრამ ამ ფოკუსში მონაწილეობა, ცოტა არ იყოს, სახიფათოა და ამიტომ იგი მაყურებელში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ქანრს, ილუზიონისტს, ბევრი ეტანება და გარკვეულ წარმატებასაც აღწევს. ჩვენ, მაყურებლებს, გულთბილი მადლობის გარდა არა დავგრძენია რა, და ვუსურვებთ არტისტებს შემდგომ შემოქმედებით ზრდას.

ჯგუფი ლუგაპა



რუსთაველის თეატრში „ოიდიპოს მეფე“ უანტრაქტოდ მიდის.

— როგორ მოგეწონა სპექტაკლი?  
— ეს რა სპექტაკლია, ახალი კაბის ჩვენება ვერ მოვასწარი!

133  
19/6

თავსატანის პასუხები

ვერ დაეხმარეთ, არა? არცაა გასაკვირი, რადგან დირექტორს ვერაფერს გამოიყვანდა ამ მძიმე მდგომარეობიდან გარდა იმავე გაკლუნიანი პირისა,

პირველ სკამზე (იხ. ნახატი) დროებით დასვამდა ორ მაყურებელს. მესამე მაყურებელს დასვამდა მეორე სკამზე, მეოთხეს—მესამეზე. და ბოლოს თავისუფალ მეოთხე სკამზე გადმოიყვანდა ერთ-ერთს იმ ორი მაყურებლიდან, რომლებიც დროებით მოათავსა პირველ სკამზე.



არც ერთი, რადგან წვიმიანი ამინდი იყო და მანქანა ერთ ადგილზე ბუქსაობდა ტალახში.



რომელმაც ის სამსახურში მოაწყო. ტელეფონით დაურეკა იმ პირს და მისი დახმარებით «სუსუთადა» გამოძვრა მაღაზიდან.

რედაქტორი—ვახტანგ ჯელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი, ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 7, ხელმოწ. დასაბ. 9/IV-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შვკვ. № 382. უფ. 02349 ტირ. 25.000.



სამზიზღარი მღვდის!..

ნახ. ა. ბანძელიძის

ქართული  
ბიბლიოთეკა

